



საქართველოს საკანონმდებლო სიახლეები

იხელმძღვანელეთ კანონმდებლობით

შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი

2019 წლის 19 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი ორგანული კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ.

კანონის მიღება განაპირობა საქართველოს კონსტიტუციის ახალმა რედაქციამ, რომელიც მოითხოვს, რომ ორგანული კანონის სახით წარმოდგენილი იყოს დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფი ნორმატიული აქტი. ამასთან, აუცილებელი იყო არსებული კანონის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა და საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის თვალსაზრისით დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოების დაცვის სტანდარტების გაუმჯობესება.

შესაბამისად, მიღებულ იქნა ახალი ორგანული კანონი, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 4 მარტს და რომელიც დაახლოებულია საერთაშორისო სტანდარტებთან და ემსახურება სამუშაო ადგილებზე დასაქმებულთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვას.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონი

2019 წლის 27 მარტს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონში ძალაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვით:

„იმ პირს, რომელიც ამ კანონის ამოქმედებამდე არანაკლებ 7 წლის განმავლობაში ასრულებდა გარიგების პარტიორის უფლებამოსილებას და ამ კანონის შესაბამისად არ არის სერტიფიცირებული ბუღალტერი, სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსი ენიჭება სამსახურისთვის წარდგენილი, აუდიტორული მომსახურების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაციის საფუძველზე. რეესტრში რეგისტრაციით დაინტერესების შემთხვევაში აღნიშნულ პირს ჩაეთვლება, რომ მას აქვს ფინანსური ანგარიშგების აუდიტის აუდიტორის ზედამხედველობით ჩატარების არანაკლებ 3-წლიანი პრაქტიკული გამოცდილება.“

საქართველოს მთავრობის დადგენილება №163

2019 წლის 29 მარტს მთავრობამ მიიღო დადგენილება №163 - საკრედიტო საგარანტიო სქემის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ.

დადგენილების მიხედვით, სახელმწიფო პროგრამის – საკრედიტო საგარანტიო სქემის მიზანია ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესება იმ მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის, რომელთაც არ აქვთ შესაძლებლობა, დააკმაყოფილონ სესხის უზრუნველყოფაზე არსებული მოთხოვნები (სრულად ან ნაწილობრივ).

სსიპ – აწარმოე საქართველოში უზრუნველყოფს კომერციული ბანკების მიერ პროგრამის ფარგლებში დამტკიცებული სესხებიდან გამომდინარე კომერციული ბანკ(ებ)ის ფინანსური რისკის გადანაწილებას.

საკრედიტო გარანტია გაიცემა მხოლოდ შემდეგი ორი მიზნობრიობით:

- წარმოებისათვის/მომსახურების გაწევისთვის საჭირო კაპიტალური ხარჯებისთვის – სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პროგრამის ერთ ბენეფიციარზე გაცემული სესხის მოცულობის არანაკლებ 80 (ოთხმოცი) პროცენტისა;
- საბრუნავი საშუალებების შესაძენად – სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პროგრამის ერთ ბენეფიციარზე გაცემული სესხის მოცულობის არა უმეტეს 20 (ოცი) პროცენტისა.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №472

საქართველოს მთავრობის დადგენილების №472 მიხედვით, 2019 წლის 1 აპრილიდან საქართველოს ტერიტორიაზე აიკრძალა ნებისმიერი სისქის პლასტიკის პარკების წარმოება, იმპორტი და რეალიზება.

კანონპროექტი მედიაციის შესახებ

საქართველოს პარლამენტში განსახილველად წარდგენილია კანონპროექტი მედიაციის შესახებ, რომელიც განსაზღვრავს მედიაციის წარმოების ზოგად პრინციპებს, მედიატორთა საქმიანობის წესს, უფლებამოსილებებსა და მედიაციის პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს, მათ შორის:

- მედიაცია შეიძლება წარმართოს ერთმა ან რამდენიმე მედიატორმა ერთდროულად;
- მედიატორის არჩევის თაობაზე თანხმდებიან მხარეები. სასამართლო მედიაციის შემთხვევაში მედიატორი არჩეულ უნდა იქნეს მედიატორთა ერთიანი რეესტრიდან;
- მედიაციის დაწყების წინაპირობაა მედიაციის თაობაზე მხარეთა შეთანხმება, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით ან მხარეთა შუამდგომლობით სასამართლოს ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ საქმის მედიატორისათვის გადაცემა;
- მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ მედიაციის წარმართვის წესებზე;
- მედიაციის პროცესში მხარემ შეიძლება მონაწილეობა მიიღოს როგორც უშუალოდ, ისე უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით. საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, მედიატორი უფლებამოსილია მოითხოვოს მედიაციის პროცესში მხარის/მხარეთა უშუალო მონაწილეობა;
- მედიაციის პროცესი კონფიდენციალურია.


საკონტაქტო ინფორმაცია

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:



გიორგი თავართქილაძე

საგადასახადო და იურიდიული
დეპარტამენტის დირექტორი
gtavartkiladze@deloitte.ge



გიორგი ხუროძე

იურიდიული სამსახურის უფროსი
gkhurodze@deloitte.ge

თბილისი

ბიზნეს ცენტრი King David

მერაბ ალექსიძის ქ. 12, მე-15 სართული
თბილისი, 0171,
საქართველო

Tel: +995 (32) 224 45 66

Fax: +995 (32) 224 45 69

deloitte.ge

deloitte.ge

დელოიტის შესახებ

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ www.deloitte.com/about.

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 286 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში [Facebook](#), [LinkedIn](#), [Twitter](#).

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიაროთ კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.